# Lyrics for a song - VERA

Singer – Gogi Dolidze. Composer – R. Sebiskveradze. Lyrics – G. Peradze

თბილისში ყველა პატარა უბანს
თავისი წილი უნდა სინღერა,
მარტო თბილისში თუ შეიძლება
იყოს უბანი, იყოს უბანი
და ერქვას ვერა.

ფიქრის გორაზე დავდგები ჩევთვის
არ მომბეზრდება შენზე სიმღერა,
ამ ზღაპრულ უბანს ვერელი კაცი
სხვაზე ვერ გასცვლის ვერა და ვერა.

ვერაზე ჩვენმა ლაღმა ბავშვობამ
გადაიჰქროლა და ახლაც მოჰქრის,
ვერაა ჩემი სულის სიმშვიდე,
ვერაზე არის, ვერაზე არის ადგილი ფიქრის.

ფიქრის გორაზე დავდგები ჩემთვის
არ მომბეზრდება შენზე სიმღერა,
ამ ზღაპრულ უბანს ვერელი კაცი
სხვაზე ვერ გასცვლის ვერა და ვერა.

თბილისში ყველა პატარა უბანს
თავისი წილი უნდა სიმღერა.